



## განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით  
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების  
შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ  
წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

„კულტურის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

07 აპრილი 2022



## დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

## ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

## ექსპერტი

სახელი: ეკა

გვარი: ლეკაშვილი



## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

|                                                                              |                                                 |
|------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------|
| დაწესებულების სახელწოდება<br>ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის<br>მიითითებით | სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების სახე                                                           | სასწავლო უნივერსიტეტი                           |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი                                           | 245628496                                       |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

|    |                                                                                                                       |                                                                                   |
|----|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------|
| 1  | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება <sup>1</sup>                                                                     | კულტურის<br>მენეჯმენტი                                                            |
| 2  | უმაღლესი განათლების საფეხური                                                                                          | ბაკალავრიატი                                                                      |
| 3  | კვალიფიკაციის დონე <sup>2</sup>                                                                                       | მეექვსე                                                                           |
| 4  | კვალიფიკაციის დასახელება                                                                                              | მენეჯმენტის<br>ბაკალავრი                                                          |
| 5  | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი<br>ჯგუფის სწავლების უფლების მიითითებით <sup>3</sup> | -                                                                                 |
| 6  | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) <sup>4</sup>                                                    | მენეჯმენტი და<br>ადმინისტრირება<br>(0413)                                         |
| 7  | სწავლების ენა                                                                                                         | ქართული                                                                           |
| 8  | ECTS კრედიტების რაოდენობა                                                                                             | 240                                                                               |
| 9  | განხორციელების ადგილი <sup>5</sup>                                                                                    | საქართველო,<br>6010. ქ. ბათუმი,<br>ზ.<br>გორგილაძე/ვაჟა-<br>ფშაველას ქ.<br>N19/32 |
| 10 | საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს<br>ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი              | კრედიტებული.<br>2021 წლის 02<br>თებერვალი, N<br>53930                             |
| 11 | გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი                                                                                 | 2021 წლის 02<br>თებერვალი                                                         |

<sup>1</sup> დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

<sup>2</sup> ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

<sup>3</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

<sup>4</sup> განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

<sup>5</sup> ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



|    |                                                                                                                                                    |                        |
|----|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------|
| 12 | საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი | 2022 წლის 02 თებერვალი |
| 13 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი                                                                                                                  | 2028 წლის 02 თებერვალი |

**საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება**  
**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით**

| სტანდარტები                                                                            | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|----------------------------------------------------------------------------------------|------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა |                              | ✓                                     |                                         |                                     |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა     |                              | ✓                                     |                                         |                                     |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა                                   |                              | ✓                                     |                                         |                                     |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა                                                   |                              | ✓                                     |                                         |                                     |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები                                      | ✓                            |                                       |                                         |                                     |



## შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი<sup>6</sup>

1. გაფართოვდეს შრომის ბაზრის კვლევაში ჩართულ სუბიექტთა ბაზა არამარტო კულტურის სფეროში მოქმედი სუბიექტებით, არამედ სხვა ბიზნეს - სუბიექტებითაც, რადგან მათი მოთხოვნების გათვალისწინება უფრო მეტად დაახლოვებს პროგრამის მიზანსა და შედეგებს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, პროგრამის დასრულების შემდგომ მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფაქტორის გათვალისწინებით.
2. განისაზღვროს პროგრამის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულებიდან გადახრის სიდიდე.
3. მიზანშეწონილია, პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში სრულყოფილად აისახოს ყველა შედეგი, რომლითაც სასწავლო კურსების (დროის მენეჯმენტი, სტატისტიკა, რისკების მართვა, რეკლამის ხელოვნების საფუძვლები) გავლის შედეგად იღებს სტუდენტი, რაც აღწერილია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.
4. მიზანშეწონილია, სასწავლო კურსებს ოპერაციული მენეჯმენტი, მენეჯერული აღრიცხვა, საერთაშორისო ბიზნესი შეეცვალოთ სტატუსი და სპეციალობის არჩევითიდან გადავიდეს სპეციალობის სავალდებულო საგნების კატეგორიაში.
5. მიზანშეწონილია, სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების ბლოკში წარმოდგენილი იყოს საგანი „ფინანსების საფუძვლები“.
6. სასწავლო კურსებს: ლოგისტიკა, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, სტატისტიკა, ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება, მარკეტინგი კულტურაში, კულტურის ტურიზმის მენეჯმენტი, რისკების მართვა, კინოხელოვნების მენეჯმენტი, საშემსრულებლო ხელოვნების მენეჯმენტი, საბიბლიოთეკო და საგამომცემლო საქმის მენეჯმენტი, სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი, მედიამენეჯმენტი, სამეწარმეო გარემოს რეგულირება განესაზღვროს წინაპირობები.
7. მიზანშეწონილია პროგრამის სტრუქტურაში გასწორდეს სპეციალობის სავალდებულო საგნებზე გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა და ამასთან, სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს სტრუქტურაში მიეთითოს შესაბამისი სემესტრი.
8. გასწორდეს საბაკალავრო ნაშრომი/ პროექტის წინაპირობა ისე, რომ სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა 8 სემესტრში დაასრულოს პროგრამა.
9. პროექტების მენეჯმენტის სასწავლო კურსში ჩართულ იქნას „Microsoft Project“ პროგრამის სწავლების კომპონენტი.
10. გადამუშავდეს სასწავლო კურსების: ბიზნეს გეგმის შედგენა და მართვა, კულტურის დაფინანსება, მცირე ბიზნესის საფუძვლები, ოპერაციული მენეჯმენტი - მესამე

<sup>6</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით



შედეგის (პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) ფორმულირება და შეფასების მეთოდები.

11. შესწავლილ იქნეს სასწავლო კურსებისათვის კრედიტების მინიჭების საკითხი თითოეულ სასწავლო კურსთან მიმართებაში და რაციონალურად მოხდეს კრედიტების რაოდენობის განსაზღვრა.
12. განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა სასწავლო კურსებში: კინოხელოვნების მენეჯმენტი, კულტურის მენეჯმენტი, კულტურის მარკეტინგი, მედიამენეჯმენტი, პროექტების მენეჯმენტი, მცირე ბიზნესის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, კულტურის ტურიზმის საფუძვლები, ბიზნეს - გეგმების შედგენა და მართვა და ადამიანური რესურსების მენეჯმენტი.
13. განახლდეს ინგლისური ენა B2 - ის სილაბუსი. მიზანშეწონილია უცხო ენის ჯგუფების ფორმირების მექანიზმის ჩამოყალიბება პროცესის რეგულირების მიზნით.
14. სასწავლო კურსის სილაბუსებში ძირითად და დამატებით ლიტერატურას მიეთითოს გვერდების რაოდენობა.
15. რეკომენდირებულია, პრაქტიკის ობიექტებთან შემუშავდეს სტანდარტთან შესაბამისი შეთანხმების მომზადება, რომელშიც დეტალურად და მკაფიოდ იქნება წარმოდგენილი იმ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა, რომლის მიღებაც შეძლებს დაწესებულება ერთი სემესტრის განმავლობაში, ასევე განისაზღვრება პრაქტიკის მიზნები და ხანგრძლივობა.
16. რეკომენდირებულია, სილაბუსების ავტორებთან აქტიურად გაგრძელდეს სწავლება-სწავლის მეთოდების ანალიზი და გადაიხედოს ყველა სასწავლო კურსი და აღმოიფხვრას ყველა ხარვეზი.
17. რეკომენდირებულია, კარიერული განვითარების ცენტრმა სრულად უზრუნველყოს სტუდენტების დაინტერესება და შემდგომში ჩართულობა კარიერული დაგეგმვის კუთხით და შემდგომში ხელი შეუწყოს სტუდენტის სფეროს შესაბამისად დასაქმებას.
18. რეკომენდირებულია, უსდ-მ გააფართოვოს საერთაშორისო თანამშრომლობა და სტუდენტებს ხელი შეუწყოს საერთაშორისო მობილობის პროგრამებში ჩართვაში.
19. პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია მინიმუმ ერთი აკადემიური პერსონალის დამატება მენეჯმენტის ან ბიზნეს ადმინისტრაციის კვალიფიკაციით.
20. რეკომენდებულია, რომ ბხსუ-მ სრულად აამოქმედოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების და უწყვეტი პროფესიული და აკადემიური განვითარების პოლიტიკა და მხარდამჭერი პროცედურები, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ბხუს-ს ვებ-გვერდზე.
21. რეკომენდებულია, დროულად განახლდეს საბიბლიოთეკო ფონდი სასწავლო საგნების სილაბუსებში წარმოდგენილი ძირითადი ლიტერატურის შესაბამისად, რომელიც დაეფუძნება დარგის სიახლეების შემცველ თანამედროვე გამოცემებს.



## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია<sup>7</sup>

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამას „კულტურის მენეჯმენტი“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 02 თებერვლის სხდომის N 53930 გადაწყვეტილებით აკრედიტაცია მიენიჭა 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარდგენითა და 2 წელში მონიტორინგის განხორციელებით. აღნიშნული უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 02 მარტის სხდომაზე განხილულ იქნა „კულტურის მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციები და რჩევები.

აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების პროგრამის განვითარებაში ასახვის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელს შამადგენლობაშიც წარმოდგენილნი იყვნენ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, სტუდენტები, პოტენციური დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები. ამავსე ჯგუფს დაევალა ანგარიშის მომზადება.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციები ჩასწორდა ანგარიშის წარმოდგენამდე; გარკვეული რეკომენდაციების შესრულება იგეგმება პროგრამის მონიტორინგის პერიოდისთვის, ხოლო მესამე ნაწილი - პროგრამის რეაკრედიტაციისთვის, რადგან ის მოითხოვს დროს და პროცესის დინამიკაზე დაკვირვებას. ამასთან, პროგრამის მონიტორინგის პერიოდისთვის გათვალისწინებული იქნება 2021 წლის 31 დეკემბრის მენეჯმენტის დარგობრივი საბჭოს მიერ დამტკიცებული მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლებიც. ამ მიზნით 2022 წლის 27 იანვარს განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობაში მოყვანის სამუშაო ჯგუფი და გეგმა.

### რჩევ(ებ)ი<sup>8</sup>

1. გაიზარდოს ციფრული ინსტრუმენტების და საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების კომპონენტი პროგრამაში.
2. სასურველია, ბხსუ-მ გააგრძელოს ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენება, აწარმოოს საერთაშორისო ბაზების გამოყენების ანალიტიკის მონიტორინგი და გამოიყენოს მონაცემები სტუდენტებში სამეცნიერო ბაზების გამოყენების პოპულარიზაციის მიზნით.
3. სასურველია, პროგრამის განვითარების და ფინანსური მდგრადობის გამყარების მიზნით, მოხდეს პროგრამის რეპოზიციონირება და პროგრამის კონკურენტული უპირატესობების კომუნიცირება მიზნობრივი აუდიტორიის დაინტერესების და პროგრამაში ჩართულ

<sup>7</sup> საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

<sup>8</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)



სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მიზნით, სასურველია პროგრამის ბიუჯეტის შემუშავებისას გათვალისწინებული იყოს სასწავლო პროგრამის განხორციელებით მიღებული შემოსავალი და თვალსაჩინო იყო ფინანსური საღდო, ხოლო ხარჯვითი ნაწილი იყოს უფრო დეტალიზებული, ასახავდეს სტანდარტით მოთხოვნილ ყველა პუნქტს.

4. სასურველია, მომავალში გარე შეფასებაში ჩართული იყვნენ საერთაშორისო ექსპერტები.
5. სასურველია, სტუდენტების გამოკითხვებს ჰქონდეს უფრო სისტემური ხასიათი, რათა სტუდენტებმა მეტად იგრძნონ პასუხისმგებლობა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებასა და განვითარებაზე.
6. სასურველია, კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა პერიოდულად შედარდეს ანალოგიურ საერთაშორისო პროგრამებს.

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია<sup>9</sup>

პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს მიერ წარმოდგენილი რჩევები მეტწილად გათვალისწინებულ იქნა პროგრამის გადამუშავებისას.

### დამატებითი ინფორმაცია<sup>10</sup>

---

---

---

## რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ<sup>11</sup>

|                                      |                                                                                                                              |
|--------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სტანდარტის დასახელება <sup>12</sup>  | 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა                                       |
| კომპონენტის დასახელება <sup>13</sup> | 1.1 პროგრამის მიზნები                                                                                                        |
| რეკომენდაცია I <sup>14</sup>         | გაფართოვდეს შრომის ბაზრის კვლევაში ჩართულ სუბიექტთა ბაზა არამარტო კულტურის სფეროში მოქმედი სუბიექტებით, არამედ სხვა ბიზნეს - |

<sup>9</sup> საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

<sup>10</sup> საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

<sup>11</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

<sup>12</sup> სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

<sup>13</sup> კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

<sup>14</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



|                       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
|-----------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                       | სუბიექტებითაც, რადგან მათი მოთხოვნების გათვალისწინება უფრო მეტად დაახლოვებს პროგრამის მიზანსა და შედეგებს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, პროგრამის დასრულების შემდგომ მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფაქტორის გათვალისწინებით.                                                                                                                                                                                                                                          |
| შეფასება              | ახალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა ისეთ დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, როგორებიცაა აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, ა(ა)იპ „საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისა და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი“, „ტურისტული სააგენტო „ევრო ტური“ და სასტუმრო „მარანი“. იმავედროულად, 2022 წელს იგეგმება დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევა წარმოდგენილ ახალ პარტნიორ დაწესებულებებში/ დამსაქმებლებთან.<br><i>რეკომენდაცია შესრულდა.</i> |
| რჩევა <sup>15</sup> I | -                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| შეფასება              | -                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| მტკიცებულებ(ებ)ა      | <ul style="list-style-type: none"> <li>• ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;</li> <li>• აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების „კულტურის მენეჯმენტის“ პროგრამაში ასახვის მიზნით სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სამუშაო გეგმა.</li> </ul>                                                                                                                                                                                                                         |

|                               |                                                                                                                                                                                                                                                                                                   |
|-------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სტანდარტის დასახელება         | 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა                                                                                                                                                                                                            |
| კომპონენტის დასახელება        | 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები                                                                                                                                                                                                                                                                    |
| რეკომენდაცია II <sup>16</sup> | განისაზღვროს პროგრამის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულებიდან გადახრის სიდიდე.                                                                                                                                                                                                                  |
| შეფასება                      | დარგის სპეციალისტებთან კონსულტაციის და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის საფუძველზე პროგრამის ხელმძღვანელებმა მოამზადეს პროგრამის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულებიდან გადახრის სიდიდის პროექტი. მიმდინარეობს მუშაობა პროექტის დასამტკიცებლად.<br><i>რეკომენდაცია შესრულების პროცესშია.</i> |

<sup>15</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>16</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



|                               |                                                                                                                                                                                                           |
|-------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| რჩევა <sup>17</sup> II        | -                                                                                                                                                                                                         |
| შეფასება                      | -                                                                                                                                                                                                         |
| მტკიცებულებ(ებ)ი <sup>ა</sup> | <ul style="list-style-type: none"> <li>აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების „კულტურის მენეჯმენტის“ პროგრამაში ასახვის მიზნით სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სამუშაო გეგმა;</li> <li>ანგარიში.</li> </ul> |

|                                |                                                                                                                                                                                                                                                                                        |
|--------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სტანდარტის დასახელება          | 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა                                                                                                                                                                                                 |
| კომპონენტის დასახელება         | 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები                                                                                                                                                                                                                                                         |
| რეკომენდაცია III <sup>18</sup> | მიზანშეწონილია, პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში სრულყოფილად აისახოს ყველა შედეგი, რომლითაც სასწავლო კურსების (დროის მენეჯმენტი, სტატისტიკა, რისკების მართვა, რეკლამის ხელოვნების საფუძვლები) გავლის შედეგად იღებს სტუდენტი, რაც აღწერილია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში. |
| შეფასება                       | ჩამოთვლილი სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგები სრულად აისახა პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში.<br><i>რეკომენდაცია შესრულდა.</i>                                                                                                                              |
| რჩევა <sup>19</sup> II         | -                                                                                                                                                                                                                                                                                      |
| შეფასება                       | -                                                                                                                                                                                                                                                                                      |
| მტკიცებულებ(ებ)ი <sup>ა</sup>  | <ul style="list-style-type: none"> <li>კურიკულუმი</li> </ul>                                                                                                                                                                                                                           |

|                               |                                                                                                                                    |
|-------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სტანდარტის დასახელება         | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა                                                 |
| კომპონენტის დასახელება        | 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი                                                                                |
| რეკომენდაცია IV <sup>20</sup> | მიზანშეწონილია, სასწავლო კურსებს ოპერაციული მენეჯმენტი, მენეჯერული აღრიცხვა, საერთაშორისო ბიზნესი შეეცვალოთ სტატუსი და სპეციალობის |

<sup>17</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>18</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>19</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>20</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



|                       |                                                                                                                                                                                                |
|-----------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                       | არჩევითიდან გადავიდეს სპეციალობის სავალდებულო საგნების კატეგორიაში.                                                                                                                            |
| შეფასება              | პროგრამის სტრუქტურა მოდიფიცირდა წარმოდგენილი რეკომენდაციის გათვალისწინებით და დასახელებული სასწავლო კურსები გადავიდა სპეციალობის სავალდებულო საგნების ჯგუფში.<br><i>რეკომენდაცია შესრულდა.</i> |
| რჩევა <sup>21</sup> I | გაიზარდოს ციფრული ინსტრუმენტების და საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების კომპონენტი პროგრამაში.                                                                                                |
| შეფასება              | საფაკულტეტო არჩევით სასწავლო კურსებში წარმოდგენილი იქნა „კომპიუტერული ტექნოლოგიები 2“, Adobe Illustrator და Photoshop“. <i>რჩევა გათვალისწინებულ იქნა.</i>                                     |
| მტკიცებულებ(ებ)ა      | <ul style="list-style-type: none"> <li>• კურიკულუმი;</li> <li>• სასწავლო კურსების „კომპიუტერული ტექნოლოგიები 2“, Adobe Illustrator და Photoshop“ სილაბუსები.</li> </ul>                        |

|                              |                                                                                                                                                      |
|------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სტანდარტის დასახელება        | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა                                                                   |
| კომპონენტის დასახელება       | 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი                                                                                                  |
| რეკომენდაცია V <sup>22</sup> | მიზანშეწონილია, სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების ბლოკში წარმოდგენილი იყოს საგანი „ფინანსების საფუძვლები“.                                      |
| შეფასება                     | შემუშავდა და დამტკიცდა „ფინანსების საფუძვლები“ სასწავლო კურსის სილაბუსი სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსის სახით.<br><i>რეკომენდაცია შესრულდა.</i> |
| რჩევა <sup>23</sup> II       | -                                                                                                                                                    |
| შეფასება                     | -                                                                                                                                                    |
| მტკიცებულებ(ებ)ა             | <ul style="list-style-type: none"> <li>• კურიკულუმი;</li> <li>• სასწავლო კურსის სილაბუსი.</li> </ul>                                                 |

<sup>21</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>22</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>23</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



|                               |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |
|-------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სტანდარტის დასახელება         | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |
| კომპონენტის დასახელება        | 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                      |
| რეკომენდაცია VI <sup>24</sup> | სასწავლო კურსებს: ლოგისტიკა, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, სტატისტიკა, ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება, მარკეტინგი კულტურაში, კულტურის ტურიზმის მენეჯმენტი, რისკების მართვა, კინოხელოვნების მენეჯმენტი, საშემსრულებლო ხელოვნების მენეჯმენტი, საბიბლიოთეკო და საგამომცემლო საქმის მენეჯმენტი, სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი, მედიამენეჯმენტი, სამეწარმეო გარემოს რეგულირება განესაზღვროს წინაპირობები. |
| შეფასება                      | რეკომენდაციაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების პედაგოგებთან ერთად მიღებული იქნა გადაწყვეტილება წინაპირობების განსაზღვრის შესახებ.<br><i>რეკომენდაცია შესრულდა.</i>                                                                                                                                                                                                                                                        |
| რჩევა <sup>25</sup> II        | -                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
| შეფასება                      | -                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
| მტკიცებულებ(ებ)ა              | <ul style="list-style-type: none"> <li>კურიკულუმი</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |

|                                |                                                                                                                                                                                                                            |
|--------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სტანდარტის დასახელება          | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა                                                                                                                                         |
| კომპონენტის დასახელება         | 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი                                                                                                                                                                        |
| რეკომენდაცია VII <sup>26</sup> | მიზანშეწონილია პროგრამის სტრუქტურაში გასწორდეს სპეციალობის სავალდებულო საგნებზე გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა და ამასთან, სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს სტრუქტურაში მიეთითოს შესაბამისი სემესტრი.                 |
| შეფასება                       | ტექნიკური ხარვეზი ფიქსირდებოდა პროგრამის სტრუქტურაში, სადაც სპეციალობის სავალდებულო საგნების გასწვრივ ეწერა 162 კრედიტი. ამასთან, სტრუქტურიდან არ ჩანდა სპეციალობის არჩევითი ყველა სასწავლო კურსის შეთავაზება ხდება თუ არა |

<sup>24</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>25</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>26</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



|                        |                                                                                                             |
|------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                        | მეხუთე სემესტრში. რეკომენდაციაში წარმოდგენილი ტექნიკური უზუსტობა გასწორდა.<br><i>რეკომენდაცია შესრულდა.</i> |
| რჩევა <sup>27</sup> II | -                                                                                                           |
| შეფასება               | -                                                                                                           |
| მტკიცებულებ(ებ)ა       | <ul style="list-style-type: none"> <li>კურიკულუმი</li> </ul>                                                |

|                                 |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |
|---------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სტანდარტის დასახელება           | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| კომპონენტის დასახელება          | 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |
| რეკომენდაცია VIII <sup>28</sup> | გასწორდეს საბაკალავრო ნაშრომი/პროექტის წინაპირობა ისე, რომ სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა 8 სემესტრში დაასრულოს პროგრამა.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |
| შეფასება                        | <p>ანგარიშში ვკითხულობთ, რომ საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის წინაპირობა განისაზღვრა. თუმცა კურიკულუმში არ არის მითითებული საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის წინაპირობა. ამასთან, სილაბუსში მითითებულია „საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა“.</p> <p>რეკომენდაციის მოთხოვნები საჭიროებს სათანადოდ ასახვას კურიკულუმსა და სილაბუსში. კერძოდ, კურიკულუმში აისახოს წინაპირობა, ხოლო სილაბუსში მიეთითოს - „საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა“.</p> <p><i>რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა.</i></p> |
| რჩევა <sup>29</sup> II          | -                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
| შეფასება                        | -                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
| მტკიცებულებ(ებ)ა                | <ul style="list-style-type: none"> <li>საბაკალავრო ნაშრომის/ პროექტის სილაბუსი</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |

|                        |                                                                                    |
|------------------------|------------------------------------------------------------------------------------|
| სტანდარტის დასახელება  | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა |
| კომპონენტის დასახელება | 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი                                |

<sup>27</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>28</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>29</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



|                               |                                                                                                                                                             |
|-------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| რეკომენდაცია IX <sup>30</sup> | პროექტების მენეჯმენტის სასწავლო კურსში ჩართულ იქნას „Microsoft Project“ პროგრამის სწავლების კომპონენტი.                                                     |
| შეფასება                      | Microsoft Project“-ის პროგრამის შესწავლა ხორციელდება „პროექტების მენეჯმენტის“ სასწავლო კურსის ფარგლებში XIV – XV კვირებში.<br><i>რეკომენდაცია შესრულდა.</i> |
| რჩევა <sup>31</sup> II        | -                                                                                                                                                           |
| შეფასება                      | -                                                                                                                                                           |
| მტკიცებულებ(ებ)ა              | <ul style="list-style-type: none"> <li>„პროექტების მენეჯმენტის“ სასწავლო კურსის სილაბუსი</li> </ul>                                                         |

|                              |                                                                                                                                                                                                                                            |
|------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სტანდარტის დასახელება        | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა                                                                                                                                                         |
| კომპონენტის დასახელება       | 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი                                                                                                                                                                                        |
| რეკომენდაცია X <sup>32</sup> | გადამუშავდეს სასწავლო კურსების: ბიზნეს გეგმის შედგენა და მართვა, კულტურის დაფინანსება, მცირე ბიზნესის საფუძვლები, ოპერაციული მენეჯმენტი - მესამე შედეგის (პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) ფორმულირება და შეფასების მეთოდები.             |
| შეფასება                     | რეკომენდაციასთან დაკავშირებით შედგა კონსულტაციები კურსების პედაგოგებთან და დაგეგმილია მესამე შედეგების გადამუშავება მონიტორინგის ეტაპისთვის, დარგობრივი მახასიათებლების საფუძველზე.<br><i>აღნიშნული რეკომენდაცია შესრულების პროცესშია.</i> |
| რჩევა <sup>33</sup> II       | -                                                                                                                                                                                                                                          |
| შეფასება                     | -                                                                                                                                                                                                                                          |
| მტკიცებულებ(ებ)ა             | <ul style="list-style-type: none"> <li>აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების „კულტურის მენეჯმენტის“ პროგრამაში ასახვის მიზნით სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სამუშაო გეგმა.</li> </ul>                                                     |

<sup>30</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>31</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>32</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>33</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



|                                |                                                                                                                                                                                                                                                                                            |
